

ხოვლეგორას ექსპედიცია



ანგარიში

2013.

0. შესავალი

ქართულ-ავსტრიულმა ექსპედიციამ მესამე სეზონის სავსე სამუშაოები ჩაატარა ხოვლე გორაზე (16 ივნისიდან 11 ივლისამდე. ექსპედიცია შედგებოდა 14 წევრისგან).

ყურადღება ორ ძირითად საკითხზე გამახვილდა:

I - წინა წლების გათხრების შედეგების ხელახალი შემოწმება, იმ სამუშაოების, რომელიც მიმდინარეობდა ხოვლე გორას მთავარ ბორცვზე 1954 წლიდან 1961 წლამდე. ამ მიზნით გაიჭრა 5 თხრილი, რომელთაც პირობითად ეწოდათ I-V თხრილები. პირველი თხრილი გაიჭრა ბორცვის წვერზე, აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთის მიმართულებით, რითიც გაფართოვდა 2011-2012 წლებში შესწავლილი ტერიტორია და ამ ფართობს ეწოდა თხრილი C.

მეორე მონაკვეთზე თხრილი გაიჭრა XX ს-ის 50 იან წლებში გაკეთებული თხრილის აღმოსავლეთით რომელსაც შემდგომში ეწოდა OT. აღნიშნული თხრილი კვეთს სამხრეთ ფერდობს დაახლოებით მის შუაგულში. III და IV თხრილები ლოკალიზებულია სამხრეთ ფერდობის ძირის გასწვრივ, OT-ს დასავლეთით და აღმოსავლეთით. V თხრილი, თავდაპირველად განთავსებული იყო სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე და ბორცვის ძირში. საბოლოოდ, საფორტიფიკაციო კედელი, რომელიც ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ზღვარზე მდებარეობს, ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვნად შესწავლილი. (ტაბ. 1.)

II-ამ წლის მეორე ძირითადი საკითხი ხოვლე გორას გეომარტიული დაზვერვები იყო რათა დაგვედგინა დასახლების მახასიათებლები და მასშტაბები. საკვლევი ტერიტორია განისაზღვრა რელიეფის თავისებურებების მიხედვით, რომელიც მოიცავდა ვაკეს მთავარი ბორცვის ჩრდილოეთითა და სამხრეთით, აგრეთვე გორებს, რომელებიც აღმართულია მის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ტაბ. 2.)

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს ძირითად სტრატეგრაფიულ შედეგებს ზემოდასმული ორი საკითხის შესაბამისად. სავარაუდო თარიღი, რომელიც ამ კონტექსტშია განხილული, წინასწარულია და საბოლოო შედეგი დამოკიდებულია რადიოკარბონული ანალიზის შედეგებზე.

ამჟამად მიმდინარეობს მოპოვებული მასალის - ძირითადად ეს არის კერამიკული ნაწარმი - დამუშავება.

1.1. I თხრილი

C თხრილის გაფართოვდა ჩრდილოეთის, (თხრილი I ჩრდილოეთით), აღმოსავლეთის (თხრილი I აღმოსავლეთით) და სამხრეთის (თხრილი I სამხრეთით) მიმართულებით. თხრილების ანაზომები აღებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. "2.00 x 3.00 მ." "3.30 x 2.00 მ." და "3.50 x 1.70 მ.". თხრილი I აღმოსავლეთით, გაითხარა და დადასტურდა ის სტრატეგრაფიული მონაცემები, რომელიც აქ ცნობილი იყო 2012 წლის გათხრებით. ახალი მონაცემები, უპირატესად კარგად შემონახული ქვაფენილი, (SE 062), რომელიც უკავშირდება I ჩრდილოეთით თხრილში დადასტურებულ სახლის კუთხეს, გვეხმარება, დეტალურად განვსაზღვროთ დასახლების მნიშვნელოვანი მხარეები ბორცვის თავზე. ეს კულტურული ფენა, რომელსაც ეწოდა „II დონე“ რეალურად აღნიშნავს იმ კულტურულ ფენას ხოვლე გორას დასახლების პერიოდიზაციის ფარგლებში, რომლის დათარიღების საკითხი ჯერ კიდევ დასადგენია. (ტაბ. III.).

II ფენა (SE 073) წარმოადგენს 10 დან 30 სანტიმეტრამდე სიმძლავრის, ნაცრისფერ, ქვიშანარევ ფენას, რომელიც ხშირად შეიცავს ნახშირს და წნულანაბეჭდიან ბათქაშის ფრაგმენტებს, რომლებიც მომდინარეობენ ღუმელის შემცველი III ფენიდან. აღნიშნული ფენა გამოვლენილია II ფენაში აღმოჩენილი შენობის ქვის კედლის ქვეშ. ამავე თხრილში დადასტურებული ქვაფენილის მაღლა (SE 062) გამოიკვეთა სამი დონე, საიდანაც მეორე კულტურული ფენა შეესაბამება რამოდენიმე ძალიან თხელ, მოყვითალო თიხატკეპნილ იატაკს (SE 056b; სულ 8 სმ. სიმაღლის). მეორე დონე შედგება 5 სანტიმეტრის სისქის, ნაცრისფერი ტალახიან-ნაცროვანი ფენისგან, (SE 056a), რაც დაფარულია საბოლოო, მესამე ფენით SE 053 რომელიც კვლავ შედგება რამოდენიმე ძალიან თხელი, მოყვითალო თიხატკეპნილი იატაკისგან, მაგრამ ამჯერად იგი ხანდახან მონაცვლეობს ნაცროვან ფენასთან, რომელიც 15 სანტიმეტრის სისქისაა. (ტაბ. IV.)

მესამე ფენის ანუ S053-ის ზედაპირი ხასიათდება 1-2 სანტიმეტრის სისქის შელესილობათა ფრაგმენტებით, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს 2011 წელს აღმოჩენილ ქვის კედელთან, რომელიც ეყრდნობა i018-ის ზედაპირს. მოცემული ზედაპირები თავისუფლად შეიძლება გაუთანაბრდეს ერთმანეთს, ძირითადი დამწვარი ფენის SE 018ის გამო. ეს უკანასკნელი მიაწინებს ბორცვის წვერზე არსებულ ყველაზე ადრეულ კულტურულ ფენაზე. ეს იგივე ზედაპირია, რომელიც ადრინდელმა ექსპედიციამ დააფიქსირა ამ ადგილზე s053/i018-ის ზედაპირის თარიღი ხელახლა დგინდება, რათა განისაზღვროს I დონის ასაკი, დასახლების პერიოდის ფარგლებში. I ჩრდილოეთით თხრილის შედეგები მხოლოდ მცირედად ავსებს მეორე დონის სტრატეგრაფიულ თანმიმდევრობას. დონეები სახლის შიგნით და გარეთ არ შეიძლება ერთმანეთს დავუკავშიროთ რადგან, სამხრეთის კედელი II დონეშიც გვხვდება, იგი ყოფს ამ ორ გარემოს ერთმანეთისგან. ამასთანავე, სახლის კუთხეში გვხვდება სანაგვე ორმო (SE 065), რომელიც მხოლოდ

ზოგადად შეიძლება დავუკავშიროთ I თხრილის II დონის სტრატეგრიფიას.

ამავდროულად, I_{ჩრდილოეთ} თხრილისა და I_{აღმოსავლეთ} თხრილის გაჭრისას კიდევ ერთხელ გასუფთავდა C თხრილი. ძირითადი სტრატეგრიფიული ორიენტირები უზრუნველყოფილია ერთის მხრივ, III დონის ღუმელით, რომელიც გამოკვლეულია 2012 წელს და მეორეს მხრივ, ახლად აღმოჩენილი თიხის გამოსაწვავი ღუმელით, რომელიც დადასტურდა I_{სამხრეთ} თხრილში და განსაზღვრავს IV კულტურულ ფენას. ამ უკანასკნელის სტრუქტურა ცუდადაა შემონახული, თუმცა მიუხედავად ამისა, ძირითადი მახასიათებლები საშუალებას იძლევა აღვდგინოთ მისი თავდაპირველი სახე და განვსაზღვროთ ფუნქციონირება: თავდაპირველად არსებული ოთხი სავენტილაციო მილიდან სამი ჩაფლული იყო ფერდობის გრუნტში, რათა სამხრეთიდან დაბერილი ქარი შესულიყო ზედა საცეცხლე კამერაში. ამ ყველაფერს ნახევრად განაპირობებდა მოპირკეთებული ბრტყელი ქვები და აგრეთვე ქვემოთ გაფართოებული მილები. მეტიც, I_{სამხრეთის} თხრილში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შემონახულია ერთი სავენტილაციო ხვრელი, რომელიც იმგვარადვეა ჩაფლული გრუნტში. მას გარს არტყამს ძალიან დამწვარი ალიზის სტრუქტურა. (გამოს.3.)

თიხის გამოსაწვავი ღუმელი დაფარული იყო თიხოვანი-მოწითალო ტალახით, მასში შერეული იყო ნახშირი და პატარა წნულანაბეჭდიანი ბათქაშის ფრაგმენტები (SE 077, SE 079), რომელიც მომდინარეობს ღუმელის დანგრეული ზედა ცეცხლის კამერისა და ქვედა გამოსაწვავი კამერებიდან, რასაც მოწმობს სტრუქტურული ნაშთები, რომელიც ნაპოვნია C თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, სავენტილაციო ხვრელის გვერდზე, აგრეთვე ქვის კედლის (SE 083) ქვეშ და გასწვრივ. ეს განსაკუთრებით ეხება, დანახშირებულ ხის ძელს, რომელიც აღმოჩნდა მისი თავდაპირველი ადგილის (ხვრელის) გვერდზე და რამდენიმე ერთი ზომის ბათქაშის ფრაგმენტს, რომელებსაც ატყვია ერთი ზომის ხის ანაბეჭდი. საცეცხლე კამერის ფსკერი ბათქაშის ფრაგმენტების გარდა ძლიერაა ამოვსებული ნაცრითა და ნახშირით. (SE 076, SE 078) საკვირველია, რომ გამოვლინდა მხოლოდ ერთი გადამწვარი კერამიკის ნატეხი, რომელიც ქვაფენილიდან მომდინარეობს. ამ აღმოჩენების თანახმად თიხის ღუმელს ეკავა 3x4 მ. სიგრძის მართკუთხა პერიმეტრი. ღუმელი მიეკუთვნება III დონეს, რაც დასტურდება ზემოხსენებული ქვის კედლით SE 083. აღნიშნული კედელი ჩადის თიხის გამოსაწვავი ღუმელის შემცველ ფენაში. იგი შესაძლოა უკავშირდებოდეს ღუმელს აგრეთვე დამწვარი ფენის SE 075 გამო, რომელიც ესაზღვრება ამ სტრუქტურებს.

საბოლოოდ, მესამე არქეოლოგიური ექსპედიციის შემდეგ ხოვლე გორას წვერზე არსებულ ნამოსახლარზე დადასტურდა ოთხი კულტურული ფენა, სადაც გამოვლინდა თიხის გამოსაწვავი ღუმელები, სახლები და ქვის კედელი. ამ ფენებში ნაპოვნია შავად და ნაცრისფრად გამომწვარი კერამიკა. აღმოჩენები მჭიდრო კავშირშია ადრეულ რკინის ხანის ნიმუშებთან. რადიოკარბონული ანალიზის შედეგები რომელიც აღებულია III და II დონიდან 2012 წელს, ადასტურებს ამ თარიღს, უფრო მეტიც, გვაძლევს უფრო ზუსტ პერიოდს კერძოდ, ძვ. წ. IX-VIII საუკუნეს. ეს თარიღი დასტურდება ადრე შემუშავებულ ქრონოლოგიურ შკალასთან

მიმართებითაც, რადგან წითელი კერამიკა ძვ. წ. VI საუკუნითაა დატარირებული, რომელც ჯერ ჯერობით არ დასტურდება ბორცვის წვერის სტრატოგრაფიაში. I-IV დონეების კორელაცია ადრე შემუშავებულ V დონესთან გვეჩვენება ყველაზე შესაძლებელ ვარიანტად.

1.2. II თხრილი

II თხრილის ზომებია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთით "7.00 x 3.00 მ" და მდებარეობს OT-ს აღმოსავლეთით. II თხრილი საერთო რელიეფისგან გამოიყოფა ზედაპირზე არსებული მცირე ჩაღრმავებით. სტრატოგრაფიულ კონტექსტში უკეთ ჩასაწვდომად, ძირითადი კვლევის საგანი იყო საფორტიფიკაციო ხაზი, რომელიც მიუყვება ფერდობს და რომელიც ამოიცივნა ძველ ფოტოებშიც. II თხრილის ტერიტორია ინტენსიურადაა გამოკვლეული ძველი ექსპედიციების დროს. ამან საშუალება მოგვცა ყურადღება გაგვემახვილებინა ნაყარი მიწის მოხსნაზე რათა მიგვეკვლია კარგად შენარჩუნებულ ქვის კონსტრუქციისთვის. ესენია ორი საფორტიფიკაციო ხაზი ანუ ტერასები, სახელდობრ, ერთი II თხრილის ქვედა და მეორე თხრილის ზედა ნაწილში, რომლებსაც შემდგომ A და B ტერასები ეწოდათ (ტაბ. V.) პროფილები გაიჭრა ხელახლა, რომლებიც მუდმივი ჩარევის მიუხედავად გვიქმნის ზოგად წარმოდგენას, იმის შესახებ თუ როგორი სტრატოგრაფია დასტურდება აქ.

ქვედა ტერასა „A“ გარს ერტყმის ორ ნაგებობას რომელიც მიეკუთვნება I და II პერიოდებს. გვიანდელი ტერასის კედელი მოიცავს 15 სანტიმეტრი სისქის კულტურულ ფენას SE 069 რომელიც ხასიათდება თიხნარი შემადგენლობით და მოთეთრო-ყავისფერი ქვიშიანი ჩანართებით, ფენა შეიცავს ნახშირის ჩანართებსაც. კულტურული ფენა SE 068 იგივე სისქისაა. ტერასის მომიჯნავე კედელი დაფარულია ჩამოცვენილი ქვის ნამსხვრევებით SE 067 რის გამოც, I ტერასა თარიღდება I პერიოდის დასაწყისით. აღმოსავლეთ ნაწილში, ტერასის კედლის თავზე დაყრილი ქვები in situ მდგომარეობაშია და დაფარულია ეროზირებული ალიზის აგურებით, რაც მიუთითებს, რომ თავდაპირველი ქვის სტრუქტურა არ იყო იმაზე მაღალი ვიდრე დღესაა შემონახული და რომ ტერასა წარმოადგენდა აქ მდგარი ალიზის აგურით ნაშენებ კედლის ქვე-სტრუქტურას, რომელიც წარმოადგენდა ერთიან თავდაცვით სისტემას.

ადრეული I პერიოდის ნაგებობა მოიცავს ორ ფაზას Ia და Ib. გვიანდელი ფაზა Ib წარმოდგენილია ახალი A ტერასით, რომელიც ეფუძვნება ძველ II პერიოდის ტერასას.

აღმოსავლეთ პროფილის სტრატოგრაფიული მონაცემები ხელს უწყობს B ტერასის კედლის კორელაციას A ტერასის Ib ფაზასთან (ტაბ. VI.) SE 057 ფენის ზედაპირი, ხასიათდება აღმოსავლეთ პროფილში აშკარად გარჩევადი ორმოს ძირით, რომელიც მომდინარეობს s057ის ზედაპირიდან A ტერასის Ia ფაზის ძირამდე. მისი ქვის ფენებიც შედგება 5 იდან 10 სანტიმეტრამე სისქის თიხის შელესილობისგან,

მშენებლობის ეს მეთოდი მხოლოდ ამ ფაზისთვისაა დამახასიათებელი. SE 084 ორმოს შევსება უფრო მაღალია, ვიდრე თვითონ ორმო და გამაგრებულია ჩრდილოეთით დაგროვებული მცირე ზომის ქვებით. ხსენებული ქვები შენარჩუნებულია მეორე SE 085-ის შევსებაშიც, რომელიც ემიჯნება B ტერასას და შევსებულია მის ქვეშ არსებული SE 057 ფენიდან ჩაყრილი მიწით.

B ტერასა ღრმავდება კულუტურული ფენის SE 058-ის ზედაპირზე. ამ ზედაპირს ეფუძვნება მომდევნო ქვის რიგი, რომელიც ესაზღვრება B ტერასას და მომდინარეობს მისი შიდა მხარიდან.

არ არის გარკვეული აღნიშნული ქვები წარმოადგენს შემდეგ დანამატს- ტერასის გაფართოებას-თუ თავიდანვე ასე იყო დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ თიხნარევი, გამაგრებული ალიზის ნარჩენი SE 086, რომლის შემადგენლობა მსგავსია SE 084-ისა, რომელიც ზემოდან შემოსაზღვრულია ქვის მწკრივით. უფრო მეტიც იგი ქმნის მკვეთრ ზღვარს სამხრეთისკენ. ეს აღმოჩენა გვთავაზობს შესაძლო კორელაციას B ტერასის შემდგომ დანამატსა და Ia ფაზას შორის.

SE 058 ფენის წნულანაბეჭდიანი ბათქაშის ნარჩენები დამახასიათებელია ასევე I თხრილის III და IV ფენებისთვის, რომელიც წარმოადგენს I და II თხრილების დაკავშირების ჯერ-ჯერობით ერთადერთ მცდელობას. ეს მაჩვენებლები მიუთითებს, III და IV ფენებისა და II თხრილში II სამშენებლო პერიოდის თანადროულობას და ამგვარადვე I თხრილში II ფენისა და II თხრილში I სამშენებლო პერიოდის თანადროულობას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით საჭიროა მომდევნო გამოკვლევები. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი თხრილი წარსულში მეტ-ნაკლებად მთლიანად შესწავლილია, II თხრილის კერამიკული მასალა ჯერ-ჯერობით არ არის საკმარისად დათარიღებული.

საბოლოოდ, წარმატებით მივაკვლიეთ საფორტიფიკაციო ხაზს ბორცვის თავზე. მის კავშირს I თხრილში აღმოჩენილ დასახლებასთან ჯერ-ჯერობით ექსპერიმენტული სახე აქვს. გადაუჭრელი რჩება II თხრილში არსებული ტერასების კავშირის, აგრეთვე I თხრილში დასახლების რიგითობისა და 2011 წელს აღმოჩენილი ქვის ქანობის კავშირის პრობლემა. ქვის ქანობის სტრატეგრაფიული მიმართება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს. მომავალში ძალები უნდა მივმართოთ ამ საკითხის გადასაჭრელად.

1.3. III და IV თხრილები

III და IV თხრილები მდებარეობს OT აღმოსავლეთით და დასავლეთით "2.50 x 3.50 მ" ზომისაა ჩრდილო-სამხრეთით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამ თხრილების გაჭრისას მიღწეულმა შედეგებმა რეალურად დაადასტურა სურათი, რადგან ძველი ექსპედიციის დროს გათხრილი მიწა დღევანდელი ზედაპირიდან 1.50 მეტრის სიღრმეზე ჩადის და ზოგ ადგილას აღწევს ხელუხლებელ გრუნტს. მხოლოდ რამდენიმე ბუნებრივი ფენაა შენარჩუნებული, თუმცა, განსაკუთრებით IV თხრილში სამი კულტურული ფენა გამოიკვეთა (ტაბ. VII.) საიდანაც ორი მდებარეობს საფორტიფიკაციო ხაზის ქვევით და დასტურდება V თხრილში. როგორც V თხრილის გათხრების შედეგებზე მსჯელობის დროს ვნახავთ, ეს ფენები შესაძლოა მართლაც მივიჩნიოთ ყველაზე ძველ ფენებად, რომელიც წარმოადგენდა ხოვლე გორას დასახლების გაუმაგრებელ კულტურულ ფენას. დათარიღების მიზნით IV თხრილის ქვედა SE 060 და SE 071 კულტურული ფენებიდან აღებულია რადიოკარბონული ანალიზები, რათა დადგინდეს ამ ადგილზე მომავალი გათხრების საჭიროება.

1.4. თხრილი V

V თხრილი თავდაპირველად მდებარეობდა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე და აღწევდა დაახლოებით 27.00 მეტრს სიგრძეში და 4.00 დან 5.00 მეტრამდე სიგანეს. ჩვენი მიზანი იყო, უპირველეს ყოვლისა აღგვედგინა ფოტოებზე ნანახი ძველი გათხრები, რომელიც ერთის მხრივ გვიჩვენებდა ქვის ქანობს სამხრეთის ფერდობზე და მეორეს მხრივ საფორტიფიკაციო ხაზს ან ბორცვის სამხრეთ-დასავლეთის დატერასებას რომელიც მოდის აღმოსავლეთისკენ ქვის ქანობის დაბლა. (ტაბ. VIII.) ქვის ქანობი დადგინდა მხოლოდ OT-ს დასავლეთით. OT-ს აღმოსავლეთით მდებარე ზედაპირი კი საპირისპიროდ, წარმოადგენს მხოლოდ პირველადი ზედაპირის ქვის ქანობის რეკონსტრუქციას, რადგან ეს ადგილი 50-იან წლებში საფუძვლიანად იქნა შესწვლილი.

გათხრითი სამუშაოები დაიწყო სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე, სადაც ძველ ფოტოებზე დაყრდნობით, ტერასის კუთხის ლოკალიზაციაა ნავარაუდები. ფერდობზე გაიჭრა პატარა თხრილი, რათა დადგენილიყო ქვის ქანობის ზედაპირი. შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ ახალი პროფილის სტრატეგრაფია კავშირშია ადრე გათხრილი პროფილის სტრატეგრაფიასთან, რამაც დაადასტურა ძველი თხრილების სავარაუდო ადგილმდებარეობა. სამხრეთ ფერდობზე ქვის ქანობის ზედაპირი გაიწმინდა და ექსპედიცია შემოიფარგლა V თხრილის დასავლეთ ნახევრის შესწავლით.

რეტროსპექტივაში მექანიკური გასუფთავება უმეტესად მოიცავდა დედაქანის და გრუნტის გამოვლენას, რომელიც ზედაპირულად გვიჩნებს ბორცვის შემადგენლობას

დასავლეთის მხარეზე (ტაბ. IX): გორაკი წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვს, რომლის ფერდობებიც ხელოვნურადაა დატერასებული ანტიკურ ხანაში. გამოსახულებაზე აგრეთვე პატარა ტერასის კედლის ნარჩენებით, რომელიც შემონახულია სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე და რომელიც ჩადის გრუნტში.

საფორტიფიკაციო ხაზი გამოვლინდა ფერდობის ძირში, ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე და გასათხრელი არეალი შემოიფარგლა დაახლოებით 4.00 x 4.00 მეტრი ფართობით. საფორტიფიკაციო ხაზი- ან ტერასა, რადგან ქვის სტრუქტურა ისევ შედგება ერთი რიგისაგან, რომელიც ღრმავდება გრუნტში,- გასუფთავდა სამირკვლის ხაზამდე. სტრუქტურა, როგორც ჩამოქცეულმა შუა ნაწილმა გვიჩვენა დაზიანებულია. დასავლეთის ნაწილი უშუალოდ დედაქანზე დგას. აღმოსავლეთის ნაწილი კი საპირისპიროდ SE 087 ფენაზეა დადასტურებული, რომელიც ქვიშისა და ხრემისაგანაა შედგენილი. ამ ფენას ქვეშ მოჰყვება კულტურული ფენა SE 088, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს IV თხრილში აღმოჩენილ კულტურულ ფენას SE 060.

2. მაგნიტური გამოკვლევა

ამ წლის სამუშაოების მეორე მიშვნელოვანი საკითხი იყო ხოვლე გორას გავრცელების საზღვრები და მახასიათებლები. ამ მიზეზით, გეომაგნეტური პროსპექციით შევისწვლეთ ძირითადი ბორცვის მახლობელი ვრცელი ტერიტორია. ეს კვლევა მოიცავს ვაკეს, რომელიც ვრცელდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, აგრეთვე გორაკს, რომელიც აღმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთით და რომელიც მთლიანობაში მოიცავს 11 ჰექტარს (ტაბ. X) ¹

ამჟამინდელი მონაცემების შეფასების თანახმად ორი სექტორი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მოითხოვს არქეოლოგიურ გამოკვლევას მომავალში. პირველი სექტორი მოიცავს N65 და N66 კვადრატებს, რომელიც ლოკალიზებულია ხოვლე გორას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე პატარა გორაკზე. მეორე სექტორი მოიცავს S03, S04 და S05 კვადრატებს რომელიც მდებარეობს თხემის ჩრდილოეთ ნაწილში და გარშემორტყმულია ვიწრო ხეობით, ძირითადი ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ძველი ექსპედიციის დროს, აღმოჩნდა ადრე რკინის ხანის სამარხები. ორივე არეალი მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწის გარეთ.

პირველი სექტორის მაგნიტურმა დაზვერვამ, რასაც შემდგომში ჩრდილოეთ სექტორი ეწოდა, გამოავლინა 5 ერთმანეთთან დაკავშირებული ოთახი, რომელიც მოიცავს

1 The southern survey area amounts to 4.0770 ha, the northern area to 6.4088 ha and the central area to 0.5160 ha.

დაახლოებით 400 მ² ტერიტორიას. მაგნიტური მონაცემების მიხედვით, არ ჩანს ეს სტრუქტურები ერთი ნაგებობის კომპლექსს ეკუთვნის, თუ ისინი ცალკე საცხოვრებელ ერთეულებს წარმოადგენს. მაგნიტური დიპოლი ამ ოთახებში არ დადგენილა და სამწუხაროდ წინასწარული თარიღის დასადგენად საჭირო კერამიკის ფრაგმენტებიც არ აღმოჩენილა. ძველი ექსპედიცია 50-იან წლებში შემოიფარგლა ბორცვის მხოლოდ ჩრდილოეთ ფერდობის შესწავლით, ჩვენთვის ამჯერად საინტერესო არეალი კი ხელუხლებელია. (ტაბ. XI)

მეორე სექტორის მაგნიტურმა დაზვერვამ, რასაც შემდეგში სამხრეთის სექტორი ეწოდა, გამოავლინა სულ ცოტა ცხრა სწორკუთხა სტრუქტურა, თუმცა ამ შემთხვევაში ისინი ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებულნი. საფიქრებელია, რომ ეს სტრუქტურები სავარაუდოდ ქვაყუთებს უნდა წარმოადგენდნენ. მეტიც, რამდენიმე შემთხვევაში, მაგნიტური დიპოლები მიუთითებდნენ რკინის არტეფაქტების არსებობაზე. ამგავრად, შესაძლოა სამარხები ხელშეუხებელი იყოს. (ტაბ. XII) უნდა აღვნიშნოთ, რომ ფერდობის ზედაპირზე აღმოჩნდა ყავისფრად გამომწვარი, გაპრიალებული თიხის ფრაგმენტები, რომელიც შესაძლოა მიეკუთვნებოდეს გვიან რკინის ხანას.

3. დასკვნა

არქეოლოგიურმა გამოკვლევამ ხოვლე გორაზე, გამოავლინა ადრე რკინის ხანის ნამოსახლარი, რომელიც ძვ.წ. IX-VIII სს. უნდა დათარიღდეს. ბუნებრივი ბორცვი დატერასებული და გამაგრებული, ხოლო მოგვიანებით დაშლილია, რადგან რადიოკარბონული ნიმუშები რომლებიც თარიღდება ძვ.წ. 11-10 საუკუნით ნაპოვნია ამ სტრუქტურების ფენებში და თავიდან ამოვსებულ თხრლებში. დასახლება აგრძელებს არსებობას ძვ.წ. 7-6 საუკუნეებში როდესაც ისინი მნიშვნელოვნად გაფართოვდნენ მეზობელ ვაკეებზე. გეომაგნიტურმა დაზვერვებმა გამოავლინა, მომავალში საკვლევი ორი არეალი.

4. დაკონსერვება

2012 წლის ექსპედიციის A და B თხრილები და ძირითადი სტრატეგრაფიული თხრილები რომლებიც 2011 წელს გაიჭრა დაკონსერვებულია. (Abb. 13-14). 5 თხრილიდან რომელიც წელს გავჭერთ მხოლოდ მესამე თხრილი იყო მთლიანად დაკონსერვებული (Abb. 15) მაშინ, როდესაც დანარჩენი 4 წინასწარულად იყო დაფარული ცელოფნით, ქვით და ნიადაგით (Abb. 16-18). II, IV, V დაკონსერვდება შემდეგი ექსპედიციისთვის, რათა საშუალება გვქონდეს მცირედი შემოწმების თუ ამას რადიოკარბონული ანალიზები მოითხოვს. I თხრილი დაკონსერვდა იმგავრად, რომ მომავალი სეზონისთვის სამუშაოები მარტივად განახლდეს. (Abb. 19).

დ. მუსხელიშვილი

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I - ხოვლე გორას თხრილების განლაგების სქემა;

ტაბ. II - გეომაგნეტური კვლევის არეალის ტოპოგრაფიული თავისებურებანი - ხოვლე გორა 2013;

ტაბ. III - II-IV დონის სტრუქტურა. გამოვლინდა I თხრილში.;

ტაბ. IV - აღმოსავლეთით თხრილის აღმოსავლეთი პროფილი, I-II დონის სტრატეფიკაცია.;

ტაბ. V - II თხრილში გამოვლენილი ქვის სტრუქტურა;

ტაბ. VI - თხრილი II

ტაბ. VII - IV თხრილი. აღმოსავლეთის პროფილი

ტაბ. VIII - V თხრილი

ტაბ. IX - თხრილი V-სამხრეთ-დასავლეთი პროფილი.

ტაბ. X - გეომაგნეტური კვლევის არეალი


ტაბ. XI - გეომაგნეტური კვლევის არეალი

ტაბ. XII - სამხრეთი სექტორ კვადრატი 03, 04, და 05;

ტაბ. XIII - ძეგლის დაკონსერვების სამუშაოები;


ტაბ. XIV - ძეგლის დაკონსერვების სამუშაოები;


ტაბ. XV - ძეგლის დაკონსერვების სამუშაოები;





شکل II





Khovle Gora 2013
Trench I-east - East Profile



Khovle Gora 2013

Trench II

Terracing B

Terracing A



0 1 2 m







ჭაბ IX



